

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) პროექტის ანგარიში

2020 წლის აგვისტოში საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (NCEQE) გამოაცხადა ტენდერი, რომელიც შეეხებოდა დახმარებას „ონლაინ და/ან შერეული სწავლებისა და სწავლის შეფასების კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში“. ეს უკანასკნელი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეინარჩუნონ ონლაინ და/ან შერეული სწავლებისა და სწავლის ხარისხი პანდემიის შემდგომ პერიოდში და/ან შემდეგი სემესტრიდან სწავლის განახლებისას“.

ტენდერის დეტალებმა განსაზღვრა ჩვენი ანგარიშის მიმართულება და რეკომენდაციები: „შემუშავებული პროდუქტი უნდა... წარმოადგენდეს ექსპერტებისა და დაწესებულებების სახელმძღვანელო მითითებებს ინსტიტუციური სტრატეგიების შეფასების შესახებ, რათა ხელი შეუწყოს ინოვაციებს, ასევე, ონლაინ რეჟიმში სწავლასა და სწავლებას...“

COVID-19-ის პანდემიამ გამოწვევები შექმნა საზოგადოების ყველა დონეზე, მთელ მსოფლიოში. უმაღლესი განათლების სფერო საქართველოში ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლამ მაშინვე გააჩინა გამოწვევები და ეჭვები ონლაინ და შერეული სწავლების ხარისხთან დაკავშირებით.

აღნიშნული პროექტი, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა (EWMI) და USAID-ის მხარდაჭერით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ იყო ინიცირებული, დროული აღმოჩნდა; მომავალში უმაღლესი განათლება და ხარისხის უზრუნველყოფა ახალ კონტექსტში უნდა გადავიდეს, ხოლო ეს პროექტი საშუალებას იძლევა შევჩერდეთ და დავფიქრდეთ, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს მომავალი და რას მოგვითმის იგი. რა თქმა უნდა, როგორც უმაღლესი განათლება, ისე მისი ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა გაითვალისწინოს ეს ახალი კონტექსტი.

სატენდერო წინადადებაში შემოთავაზებული იყო მეთოდოლოგია, რომლის შედეგადაც:

- ა) მიღებულ იქნებოდა პროდუქტი, საკმარისად მოქნილი სხვადასხვა მიდგომით და სხვადასხვა გარემოებაში გამოსაყენებლად;
- ბ) წარმოადგენილი იქნებოდა სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც დაეხმარებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მიუხედავად მათი ინსტიტუციური მიდგომისა სწავლებისადმი, ეჩვენებინათ როგორ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს;
- გ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მომავალში მისცემდა მოქნილობის საშუალებას იმ შემთხვევაში, თუ იგი დააპირებდა შეემუშავებინა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის (EQA) მეთოდოლოგია ინსტიტუციური შეფასებისთვის (შესაძლებელია ჰიბრიდული ტიპის).

საკონსულტაციო ჯგუფი

ხელშეკრულება დაიდო 2020 წლის სექტემბერში კონსულტანტთა ჯგუფთან, რომელიც შედგებოდა 4-ნ ფიონა კროზიერისა და პროფესორ ანკა გრეერისგან. მათ ერთობლივად უნდა განეხორციელებინათ პროექტი, რომელიც დაიწყო 2020 წლის ოქტომბერში.

კონსულტანტების ჯგუფმა აღნიშნა ერთობლივი სატენდერო წინადადების სარგებელი:

- წინადადება სრულად მოიცავდა ორივე კონსულტანტის ხარჯებს; ანაზღაურება ორივე კონსულტანტისთვის დაფარავდა დამატებითი გამოცდილებისა და ცოდნის შესაძლებლობას;
- ორივე კონსულტანტი მონაწილეობდა და ჰქონდა უწყვეტი წვდომა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებთან, გაერთიანებასა თუ პუბლიკაციებთან. შესაბამისად, მათ გააჩნიათ მუშაობისთვის მნიშვნელოვანი ცოდნა და რესურსი. მათი გამოცდილება ზოგ შემთხვევაში თანხვედრია, თუმცა ამავდროულად ერთმანეთის შემავსებელი.
- ორივე კონსულტანტს აქვს უმაღლესი განათლების ცენტრალიზებულ და სრულად ავტონომიურ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება; მათ ესმით ქართული კონტექსტი და სამომავლო მისწრაფებები.
- ერთობლივი სატენდერო წინადადება კონსულტანტებს აძლევს განხილვის საშუალებას სხვადასხვა თემაზე და იდეაზე მუშაობის დროს. ისინი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენენ საბოლოო პროდუქტს, რომლის ტესტირება და დახვეწა მოხდება განხილვების შედეგად.

პროექტის დედლაინი

პროექტის თავდაპირველი დედლაინი ერთი თვით დაგვიანდა, ანუ ხელშეკრულება გაფორმდა 2020 წლის 29 სექტემბერს, ხოლო ხელახალი მოლაპარაკების საფუძველზე სრულად ჩაბარება შეთანხმდა 2020 წლის 30 ნოემბრისთვის.

გატარებული ღონისძიებები

გატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

<p>1. პროექტის შედგენა და დოკუმენტაციის განხილვა</p>	<ul style="list-style-type: none">• ორი მეთოდოლოგიური შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა (NCEQE) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EMWI) წარმომადგენლებთან მეთოდოლოგიური დეტალების დასადგენად• ჯგუფმა დოკუმენტაცია მიმოიხილა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მითითებების მიხედვით, რომელიც პროექტში ჩართულ პირებს დაუყოვნებლივ აწვდიდა ინფორმაციას საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ.• ჯგუფმა ჩაატარა საერთაშორისო გარემოს ფართო ანალიზი, რათა პროექტში გათვალისწინებულიყო ევროპული და გლობალური პერსპექტივა;• უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციისა (ENQA) და ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) მიერ გაცემული ევროპული დოკუმენტაცია წარმოადგენდა ჩარჩოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) სხვა ქვეყნებთან შედარებისთვის.• ანალიზისა და მონაცემთა შეგროვების შაბლონი შემუშავდა ონლაინ /შერეული სწავლების ძირითადი მიმართულებების საფუძველზე.
--	--

<p>2. ონლაინ/შერეული სწავლებისა და სწავლის მხრივ არსებული სიტუაციის კვლევა მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად</p>	<ul style="list-style-type: none"> • მონაცემები შეგროვდა სამი ფოკუს ჯგუფის მეშვეობით, რომლებიც წარმოადგენენ მთავარ ქართველ დაინტერესებულ მხარეებს. ესენი იყვნენ: სტუდენტები (14102020), პედაგოგიური პერსონალი (15102020) და ზედა დონის მენეჯმენტი (15102020) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი თანამშრომლები (16102020), სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისგან შემდგარი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი. • ოთხ ღონისძიებას თან ახლდა PowerPoint-ში შესრულებული დეტალური პრეზენტაციები, რაც იძლეოდა მთავარ საკითხებზე ფოკუსირებული განხილვის შესაძლებლობას სტრუქტურირებული ინტერვიუების საშუალებით. • ფოკუს ჯგუფებში ჩატარდა მრავალი გამოკითხვა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მიმართულებით. • ღონისძიებებიდან შეგროვდა სრული ჩანაწერები, რამაც შექმნა ქართული კონტექსტის პრიორიტეტებისა და ტენდენციების ანალიზის პლატფორმა. • განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან რეგულარულად დაგეგმილმა შეხვედრებმა შესაძლებელი გახადა შესაბამისი კორექტირების შეტანა.
--	--

<p>3. სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება საქართველოს ონლაინ/შერეული უმაღლესი განათლებისთვის</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეგროვებული მონაცემების ყოვლისმომცველი ანალიზი • დეტალური შედარება ავტორიზაციის სტანდარტებთან, რათა შესაძლებელი იყოს შესაბამისი მიდგომის შემუშავება • განვითარების პრინციპების შემუშავება, რომლებიც ასახავს კონტექსტს და ითვალისწინებს კულტურას • ონლაინ/შერეული განათლების დეტალური, კონკრეტული კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ავტორიზაციის არსებული სტანდარტების დამატებითი ფენა. <p>საბოლოო პროდუქტის მონახაზის წარდგენა: 2020 წლის 1 ნოემბერი</p> <ul style="list-style-type: none"> • განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული უკუკავშირი შესწორებული დოკუმენტისა (05112020) და დეტალური შეხვედრის საშუალებით (06112020) • შეთანხმდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა დეტალური დანიშნულების კრიტერიუმები, ვიდრე ზოგადი აღწერილობების განხორციელება.
<p>4. სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების გავრცელება ონლაინ სამუშაო შეხვედრების მეშვეობით</p>	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო შეხვედრების დაწყებამდე ცენტრმა მონახაზი გაუგზავნა სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უკუკავშირის მისაღებად. ამან შექმნა სტრუქტურისა და შინაარსის უკეთ გაცნობის შესაძლებლობა. • ჩატარდა ორი სამუშაო შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პერსონალთან (17112020) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებთან (18112020). სამუშაო შეხვედრები უზრუნველყოფილი იყო PowerPoint-ში შესრულებული დეტალური პრეზენტაციით, რამაც მონაწილეებს საშუალება მისცა სრული წარმოდგენა შეექმნათ დოკუმენტის შესახებ. • სამუშაო შეხვედრების დასრულების შემდეგ ანგარიშმა მიიღო საბოლოო სახე მონაწილეების უკუკავშირისა და რეაქციის გათვალისწინებით. ანგარიშს დაემატა სპეციფიკური განმარტებები

	<p>დოკუმენტის გამოყენების ვარიანტების შესახებ, ასევე ახალი კანონმდებლობის შემუშავებამდე ფრთხილად მისაღები ზომები, რაც შესაძლებელს გახდის ონლაინ სწავლების სრულად განხორციელებას.</p> <p>საბოლოო პროდუქტის წარდგენა: 2020 წლის 30 ნოემბერი</p>
--	--

მოსალოდნელი რისკები

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსალოდნელ რისკთან დაკავშირებით ტექნიკური პრობლემები არ შეგვქმნია. პროექტის მიმდინარეობისას ვიყენებდით Zoom-ს და ვტვირთავდით ბმულებს, როდესაც გვინდოდა გამოკითხვის ფუნქციის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ფოკუს ჯგუფისთვის თარჯიმანიც იყო აყვანილი, ჩვენ საბოლოო ჯამში უარი ვთქვით მასზე, ვინაიდან Zoom-ში არ იყო გათვალისწინებული სინქრონული თარგმანის განხორციელება. თუმცა, თარგმანის საჭიროების საკომპენსაციოდ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები აჯამებდნენ მასალებს ქართულ ენაზე.

საბოლოო პროდუქტი

საბოლოო ანგარიშში მოცემულია განხილვის შედეგები და პროექტის მიმდინარეობისას შეგროვებული ინფორმაცია. იგი იძლევა რეკომენდაციებს მთავარ დონეზე, ისევე როგორც საქართველოს ავტორიზაციის ეროვნული სტანდარტების დეტალების დონეზე. იგი ასევე გვთავაზობს შუალედურ ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოში ონლაინ/შერეული სწავლებისა და სწავლის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების ან კანონმდებლობის მიღებამდე უნდა იყოს გათვალისწინებული.

მიღებული გაკვეთილები

არსებობს რამდენიმე ელემენტი, რომლებიც, ჩვენი აზრით, პროექტის საწყის მოთხოვნებში გაუმჯობესებას საჭიროებდა. მათ შორის არის შემდეგი (თუმცა ამით არ შემოიფარგლება):

□ რეალურად, მუშაობისას მოხდა პროექტისთვის გამოყოფილი დღეების რაოდენობის გადაჭარბება. კრიტერიუმებისადმი დეტალური მიდგომას დიდი დრო და ყურადღება დასჭირდა.

□ მონაცემთა შეგროვების დიზაინისთვის შეიძლება უკეთესი ყოფილიყო ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფთან მეტი დროის გატარება ან, მის გარდა სულ მცირე, ორი ფოკუს ჯგუფის შექმნა მათგან წინასწარი უკუკავშირის მისაღებად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს მოლაპარაკებები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

□ პროექტისთვის გამოყოფილი დღეების რაოდენობა ასევე არ იყო საკმარისი ყველა მნიშვნელოვანი სფეროს შესასწავლად და ყველა იმ დეტალის გასავლელად, რომელიც მუშაობისას გამოჩნდა. სურვილისამებრ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის შეიძლება სხვა მსგავსი სამუშაოების შეთავაზება.

შესაძლო შემდგომი ნაბიჯები

აღნიშნული ტენდერის დეტალები იყო კარგად განსაზღვრული და დროში გაწერილი. ამოცანა ეხებოდა ძირითად სამუშაოს კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას. ამასთან, საკონსულტაციო ჯგუფს სურს გასცეს შემდეგი რეკომენდაციები იმ იმედით, რომ ეს ცენტრს დაეხმარება ჰქონდეს მყარი პოზიცია პროექტის წარმატების უზრუნველსაყოფად, ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და აკრედიტაციის ექსპერტებს მიიღონ ყველა საჭირო დეტალი, რათა შეძლონ მუშაობა როგორც ინსტიტუციონალურ, ისე დეპარტამენტის/პროგრამის დონეზე:

საბოლოო პროდუქტში შემოთავაზებული კრიტერიუმებისა და მითითებების საფუძველზე, დამატებითი სფეროები საჭიროებს განხილვას ამ პროექტის ფარგლებში.

1. სპეციფიკური კრიტერიუმების და მითითებების კორექტირება Covid-19-ზე რეაგირებისთვის შესაფერისი ელემენტების გამოსაკვეთად, რათა შესაძლებელი გახდეს ონლაინ

სწავლების ხარისხის გაზრდა პანდემიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების მიმდინარე პროცესში.

შესაძლო საბოლოო შედეგი: სრულყოფილი დოკუმენტი, სადაც გამოკვეთილია ჯერ კიდევ პანდემიის პირობებში ხარისხის უზრუნველყოფის პრიორიტეტულობა, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ონლაინ სწავლების მოთხოვნებთან შესაბამისი ხარისხის მომტანი.

2 ინდივიდუალურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კონკრეტული ურთიერთქმედების ხელშეწყობა, რათა ინსტიტუციონალურ დონეზე განისაზღვროს პრიორიტეტები ონლაინ/შერეული სწავლისა და სწავლების განვითარებისთვის

შესაძლო საბოლოო შედეგი: დოკუმენტი, რომელიც მოწოდებულია საშუალება მისცეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ონლაინ/შერეული სწავლების პროცესებში პოზიციონირებისათვის განსაზღვროს პრიორიტეტები და გადადგან შემდგომი ნაბიჯები. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალურ დაწესებულებებთან ან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მუშაობა.

3 ხარისხის გარე უზრუნველყოფის სპეციფიკური მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის კონკრეტული კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებას ონლაინ/შერეული სწავლებისა და სწავლისათვის. როგორც ანგარიშშია ნაჩვენები, საჭიროა ამის პილოტირება.

შესაძლო საბოლოო შედეგი: დოკუმენტი, რომელიც პილოტირების ეტაპებისთვის კრიტერიუმებს დაალაგებს მნიშვნელობის მიხედვით. ეს არის ბარიერი/მინიმალური სტანდარტები, თუმცა მათი განხორციელება ეტაპობრივი მიდგომით მაინც შეიძლება. მათგან რამდენიმე უფრო შრომატევადია სხვებთან შედარებით, ზოგის გამოყენება თავიდანვე საჭიროა, ზოგის კი - არა.

შესაძლო საბოლოო შედეგი: დეტალური სამოქმედო გეგმა უწყების, სამინისტროს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოყენებისთვის.

4 პილოტირების ფარგლებში, დამატებითი კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო მითითებების შემოწმება, რათა ისინი განახორციელოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. ასევე, ისინი უნდა შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, ჩაასწოროს უმაღლესი განათლების სექტორმა. ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებს უნდა მიეცეთ საშუალება განიხილონ საკუთარი მიდგომა ხსენებული კრიტერიუმების განხორციელებისადმი. მათ უნდა მიეწოდოთ შემთხვევების ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს განხორციელების პროცესს.

შესაძლო საბოლოო შედეგი: შემოწმების (მონიტორინგის) მეთოდოლოგია ონლაინ/შერეული სწავლებისა და სწავლის დამატებითი კრიტერიუმების და სახელმძღვანელო მითითებების დანერგვისთვის.

5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უფრო კონკრეტული დახმარების

მიზნით, კრიტერიუმები და სახელმძღვანელო მითითებები უნდა განეწესოს და მოიცვას შემთხვევების ანალიზი და მაგალითები, სადაც გამოკვეთილი იქნება პრიორიტეტები, სამოქმედო გზები/კონკრეტული გამოცდილება კონტექსტის მიხედვით შემდგომი განხილვისა და მიღებისთვის.

შესაძლო საბოლოო შედეგი: შემთხვევის ანალიზის შეგროვება ონლაინ/შერეული სწავლების სპეციფიკური კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო მითითებების მხარდასაჭერად და საილუსტრაციოდ.

6. უფრო მეტი ეფექტისთვის, მომავალში კრიტერიუმებსა და სახელმძღვანელო მითითებებს უნდა დაემატოს ისეთი დეტალები, რომლებიც შეიძლება იყოს აუცილებელი და სპეციფიკური:

- ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურისათვის.
- პროგრამის/სპეციალობის შესაბამისი ღონისძიებები (მაგ. ლაბორატორიული, სამუშაოზე დაფუძნებული, რესურსტევადი, ხელოვნების პორტფოლიო), რომლებსაც შეიძლება დასჭირდეს განსაკუთრებული ნიუანსების გათვალისწინება ონლაინ და შერეულ სწავლასთან და სწავლებასთან დაკავშირებით

შესაძლო საბოლოო შედეგი: საგანმანათლებლო საფეხურისა და სპეციალობის მიხედვით დიფერენცირებული შეფასების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო მითითებები.

7. ონლაინ/შერეული სწავლების აღიარების მეთოდოლოგიის შემუშავება საბოლოო ანგარიშში შემოთავაზებული კრიტერიუმებისა და მითითებების საფუძველზე.

შესაძლო საბოლოო შედეგი: აღიარების მეთოდოლოგია, რომელსაც გამოიყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სამინისტრო.

შეგვექმნა რა ქართული კონტექსტის სპეციფიკის ძლიერი აღქმა ონლაინ/შერეულ განათლებასთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, რომ ხელსაყრელ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რათა შევძლოთ ზემოთწარმოდგენილი ნებისმიერი შესაძლო წინადადების განხორციელება და საბოლოო პროდუქტის შექმნა. შესაბამისად, მოხარული ვიქნებით, პროექტის შემდგომი გაფართოების მიზნით განვიხილოთ ხსენებული ვარიანტები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, მისი სურვილის შემთხვევაში.

მადლობა

და ბოლოს, მადლობას ვუხდით ყველას, ვინც პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტს (EWMI)/ USAID-სა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, ინსტიტუციონალურ წარმომადგენლებსა და სტუდენტებს, რომლებმაც დაგვითმეს დრო საუბრისთვის და ღია, საინტერესო დებატებისთვის.

2020 წლის 30 ნოემბერი,

ფიონა კროზიერი და ანკა გრეერი